საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№19 (6394) 14 თებერვალი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

მზრუნველოგენ ტექნიკას

1991 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვის თავიდათავი სასოფლოსამეურნეო ტექნიკის მზადყოფნაა.

მიმდინარე წელს წიფერჩელმა მშრომელებმა სამარცვლე სიმინდი 65 ჰექტარზე უნდა დათესონ, რასაც მნიშვნელოვნად მექანიზატორთა ბეჯითი შრომა განაპირობებს.

ამისათვის კი აქედანვე იჭერენ თადარიგს. მექანიზატორებს ავთანდილ მეიფარიანს, ჯიმშერ ფუტკარაძეს მექანიზმები სრულ მზადყოფნაში აქვთ. ხოლო [illegible] ლანდ ბენიძე [illegible] ფუტკარაძე [illegible] ემონტებენ. რადგან მათ ყველაზე უკეთ იციან რა სატკივარი აწუხებს მათ მექანიზმებს.

4 გუთანი და სამი ფარცხიც მზადყოფნაშია საგაზაფხულოდ.

როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. კოპალიანმა გვითხრა წიფერჩელი მექანიზატორები გამართული ტექნიკით ხვდებიან მოახლოებულ საგაზაფხულო ხვნა-თესვას.

დამოუკიდებლობის გზაზე

იქმნება ეროვნული გვარდია

საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანების შეჩერების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების ქუჩებში მილიციის მუშაკებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლების ერთობლივი პატრულირებას.

გადაწყდა აგრეთვე 1991 წელს მოხდეს რესპუბლიკის შინაგანი სამსახურის ჯარების—ეროვნული გვარდიის რიგებში წვევამდელთა გაწვევა. ეროვნული გვარდია, რომელიც აქ იქმნება, მოწოდებულია დაიცვას სამშობლოს ინტერესები, მისი ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

გაწვევის შესახებ დროებითი დებულების თანახმად, რომელიც გაზაფხულზე მოხდება, ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნებიან საქართველოს მამრობითი სქესის მოქალაქენი, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ, აგრეთვე წვევამდელები 25 წლის ასაკამდე, რომელთაც დაკარგეს სამხედრო სამსახურში გაწვევის შეღავათებისა და გადავადების უფლებები. დაკმაყოფილდება აგრეთვე თხოვნა სამხედრო მოსამსახურეთა ჩარიცხვის შესახებ შინაგანი სამსახურის ჯარების—ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში, რომელთაც თვითნებურად დატოვეს საბჭოთა არმიის რიგები.

სამხედრო სამსახურს, რომლის ვადაც განსაზღვრულია ორი წლით, ჰაბუკები გაივლიან საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნულ გვარდიაში სამსახურისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც გადიან ან უკვე გაიარეს ალტერნატიული სამსახური, აგრეთვე ოჯახური მდგომარეობის გამო ის წვევამდელები, რომელთა კმაყოფაზედაც იმყოფებიან მეუღლე და შვილები, შრომისუნარმოკლებული მშობლები, დები და ძმები. სავალდებულო სამსახურში არ გაიწვევენ აგრეთვე დედისერთას.

ადგილობრივი მმართველობის ახალი ორგანოები

ამიერიდან რესპუბლიკის დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონებში ადგილობრივი მმართველობის ორგანო იქმნება პრეფექტურა, ხოლო სოფლებსა და დასახლებაში—გამგეობა ან გამგებელი. ამის შესახებ გადაწყვეტილება განმტკიცებულია რესპუბლიკის კანონით გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ, რომელიც მიიღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის მორიგ სხდომაზე.

პრეფექტი, როგორც ქალაქების და რაიონების უმაღლესი თანამდებობის პირი, უზრუნველყოფს საერთო-რესპუბლიკური ინტერესების დაცვასა და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას. კანონის თანახმად, იგი ინიშნება მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე და ათავისუფლებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

პრეფექტი ანგარიშვალდებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე. ხოლო გამგეობა და გამგებელი შესაბამისი კრების ან პრეფექტის წინაშე. პრეფექტის უფლებამოსილების ვადა—ოთხი წელია.

ერთი და იგივე პიროვნება ამ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ორი ვადისა ზედიზედ.

აღსანიშნავია, რომ ავტონომიური რესპუბლიკისა და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონების პრეფექტები ინიშნება ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების საკრებულოების არჩევნების შესახებ. მათი არჩევნები დანიშნულია 1991 წლის 31 მარტს.

მიღებულია აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონი რეფერენდუმის შესახებ.

(საქინფორმი).

გულისთქმა

ყველანი ერთად — საქართველოს გადასარჩენად

თითქოს მიწყნარდა ოსეთში სროლის ხმა, თითქოს გაჩნდა იმედი, რომ ბოლოსდაბოლოს გონს მოეგენ ოსები, ჩაუხვდნენ ყველაფერს, მაგრამ ტელევიზიით ისევ და ისევ შემაშფოთებელი ცნობა, რომ გადაწვეს კიდევ ერთი ქართული ოჯახის სახლკარი, კიდევ ერთი სახლობა მიემატა ქართველ ლტოლვილთა რიცხვს, დაგეგმილი აქვთ თავდასხმა ქართულ მილიციაზე და კიდევ ვინ იცის რას მოიმოქმედებენ, მაინც რა რკინის ნერვები უნდა გქონდეს კაცს, რომ გაუძლო ამდენს, მოითმინო ამდენი შეურაცხყოფა, ლანძღვა, სისხლი.

სტუმარი ღვთისაა, სწამდათ ჩვენს წინაპრებს და ამ რწმენით მოვდიოდით დღემდე. აბა, კარგად გავიხსენოთ, ოსები რომ შევიხიზნეთ, შევიფარეთ, ჩვენი კალთა გადავაფარეთ, ჩვენი ულუფა პური შუაზე გავუტეხეთ, დავასახლეთ, საკუთარი დედულ-მამული ვაჩუქეთ.

ეყოს სინდისი თუნდაც ერთ, ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენელს და თქვას, რომ საქართველოში თავს უცხოდ ვგრძნობდიო. სულწაწყმედილი უნდა იყოს იგი, რომ ეს იკადროს. მაგრამ ვაი, რომ კადრულობენ, იმასაც კადრულობენ, რომ ასე უკანონო გზით სვეგაკვალულნი, ჩვენს მრავალსაუკუნოვან მამულს, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწა-წყალს სადაოდ გვიხდიან. არაფრად დაგვიდევენ ისტორიულ დოკუმენტებს და ცენტრის თანადგომით აყალბებენ. ამტკიცებენ, რომ გინდათ არ გინდათ, ეს ღვთისმშობლის წილხვედრი მადლიანი ქვეყანა ჩვენიაო. სხვა რას დაგვეძებდა, როცა ბევრმა ვაიქართველმა საკუთარ კუჭსა და ჯიბეზე გაცვალა ერი, საქართველო, ყიდა და ყიდა ქართული მიწა.

ახლა კი ჩვენივე მიწისთვის ჩვენი სისხლი იღვრება. დღეს ისე წავიდა საქმე, რომ ალბათ უარესსაც უნდა მოველოდეთ, როგორც იმპერიისაგან, ისე ოსი ექსტრემისტებისაგან, რომლებიც გათავხედებული არიან როგორც მორალური და მატერიალური მხარდაჭერით.

ამიტომ რა დაგვრჩენია? ისევ და ისევ გონიერება, სიდინჯე ბრძნულად განჭვრეტა ყოველი ჩვენი გადასადგმელი ნაბიჯის. ახლა გვმართებს ერთი აზრი და შემართება საქართველოს გადასარჩენად. საქართველოს ჰყავს ეროვნული პარლამენტი, დღეღამ საქართველოს ბედზე მოფიქრალი, მოდით დავაცადოთ, გავუკეთ. ბოლოსდაბოლოს თუ ვერ ვეხმარებით, ხელს მაინც ნუ შევუშლით.

ა. შკუგულიანი.

ვისაც მომავალი სტკივა

ქართველი ხალხი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის გზაზეა შემდგარი. გამოლვიძებული ერი წინ მიიწევს აღთქმული ტაძრისკენ. დღევანდელი ეროვნული მოძრაობა ისტორიაში შევა და საუკუნეებს გადაწვდება. მწამს უთუოდ გავიმარჯვებთ, მაგრამ მთავარია რა გზით ვიაროთ ამ დღესასწაულამდე. საქართველოში დამთავრდა რა კომუნისტური მმართველობა, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა, მან, ვისაც ერი ენდო ამ მძიმე განსაცდელის ჟამს. ახლა უმრავლესობის მიერ არჩეულ პარლამენტს გვერდში უნდა ამოვუდგეთ, საქმით დავამტკიცოთ საქართველოს სიყვარული და ერთგულება.

როგორც ვიცით, გამოქვეყნდა საარჩევნო კანონი ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შესახებ. ჩემს მხრებს წლებიც ბლომად აწევს და გამოცდილებაც. ძალიან კარგად ვიცი რა იყო ადრე არჩევნები: ზემოდან ჩამოწოდებული კანდიდატურები, რომლებსაც კი არ ვირჩევდით, ვნიშნავდით (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). დეპუტატები ხალხის მსახურები კი არ იყვნენ, არამედ პირიქით.

ახალ საარჩევნო კანონს კარგად უნდა ჩავწვდეთ. შეცდომების დრო დამთავრდა. დეპუტატობის კანდიდატებად უნდა დავასახელოთ ადამიანები რომლებსაც აქვთ სათანადო ცოდნა, უნარი, პატიოსნება, პრინციპულობა, უყვართ საქართველო, მათ უნდა იცოდნენ რომ დეპუტატობა პრივილეგია კი არა, არამედ დიდზე დიდი ტვირთია, დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომაა, დაძაბული, დაღლილი ადამიანების ბედით დაინტერესებაა, ჩვენი გაპარტახებული ეკონომიკის შემობრუნებისათვის ბრძოლაა.

ვიდრე გვიან არ არის ვიფიქროთ, ხმა მივცეთ მხოლოდ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მათ, ვისაც საქართველოს სიყვარული ამოძრავებთ, მისი მომავალი სტკივა.

ლ. დავითულიანი.

ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების წინ

გამოქვეყნდა და მოქმედებაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი — საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ. ამიტომ დღეს მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ამ მეტად მნიშვნელოვანი სიახლის — ადგილობრივი ორგანოების საკრებულოების არჩევნებისათვის მზადებისაკენ. ჩვენი გაზეთი რუბრიკით „ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების წინ" დღეიდან იწყებს საუბრების ბეჭდვას.

კანონში ბევრი სიახლეა

როგორც ცნობილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 31 მარტს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბის და სოფლის საკრებულოებში დეპუტატების არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებში-შესაბამისად ქალაქის რაიონების საკრებულოების, ქალაქის ზონისა და რაიონის ქალაქების, დაბებისა და სოფლების საკრებულოს მიერ ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატები აირჩევიან 3 წლის ვადით.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. საკრებულოებში (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებისა) დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია, საკრებულოებში დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის და რაიონის საკრებულოების არჩევნები ტარდება მათი ქვემდებარე ტერიტორიებზე ქალაქის რაიონების, ქალაქების, დაბებისა და სოფლების საკრებულოების არჩევიდან არა უგვიანეს 2 თვისა, სადაც ასარჩევი დეპუტატების რაოდენობას ადგენს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შესაბამისი რაიონის, ქალაქისა და ქალაქის ზონის ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წინადადებათა და მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნულ საკრებულოებში დეპუტატებს ირჩევენ მათ ქვემდებარე ტერიტორიებზე არჩეული საკრებულოები მათი არჩევიდან არა უგვიანეს 2 თვისა. საკრებულოები დეპუტატებად თავიანთ წევრებს ირჩევენ. ამ საკრებულოების მდივნები თანამდებობის მიხედვით შედიან შესაბამისი რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის ზონის საკრებულოების შემადგენლობაში.

თითოეული საკრებულოს მიერ ასარჩევი დეპუტატების რაოდენობას ადგენს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენისა და საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლობის დანიშვნის უფლების მისაღებად პარტიებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რისთვისაც არჩევნების დანიშვნიდან არა უადრეს მე-3 დღისა და არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება, პარტიის წესდება — პროგრამა და მისი რეგიონალური ორგანიზაციების ნუსხა იმ ადმინისტრაციულ — ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალით, რომელთა ტერიტორიებზეც ვრცელდება მოცემული რეგიონული ორგანიზაციის მოქმედება.

არჩევნების ჩატარებისათვის იქმნება საარჩევნო ოლქები, საარჩევნო უბნები და საარჩევნო ოლქის ნაწილები.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში აირჩევა არანაკლებ 15-ისა და არაუმეტეს 100 დეპუტატისა თბილისის საკრებულოში, 75 დეპუტატისა — რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის საკრებულოებში, 50 დეპუტატისა — რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოში.

ქალაქის (გარდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა, რომლებსაც აქვთ რაიონული დაყოფა ან მიკუთვნებული აქვთ დაბები და სოფლები), ქალაქის რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოების ქვემდებარე ტერიტორიებზე იქმნება ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები. ოლქში მანდატების რაოდენობა განისაზღვრება 3-5 მანდატით. დაბისა და სოფლის საკრებულოების საარჩევნო ოლქებში მანდატების რაოდენობა შეიძლება მეტიც იყოს.

საკრებულოებში ასარჩევი დეპუტატების რაოდენობას ადგენს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შესაბამისი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რაიონის ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წინადადებათა და მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის საკრებულოების ქვემდებარე ტერიტორიებზე საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათში მანდატების რაოდენობას ადგენენ შესაბამისი ტერიტორიული საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო ოლქების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ — ტერიტორიული დაყოფა. მოცემულ საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქები ისე უნდა შეიქმნას, რომ დეპუტატის ერთ მანდატს მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა შეესაბამებოდეს, საარჩევნო ოლქების საზღვრები ერთი მეორეს არ უნდა კვეთდნენ.

საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არაუგვიანეს 35 დღისა შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებენ საარჩევნო ოლქების სიას მათი საზღვრების მითითებით.

თვალსაზრისი, პოზიცია, პრობლემები

გავეცანი საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა სრულყოფის შესახებ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ამ საკითხზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულებას. მინდა გამოვთქვა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება.

დავიცვათ საიჯარო ურთიერთობა

საიჯარო ურთიერთობა არც ახალია (თუმცა ახალი დებულება უფრო სრულყოფილია), ის შემოღებულ იქნა გასულ წლებში, მაგრამ სრულყოფილად ვერ განხორციელდა. მოიჯარესა და მეიჯარეს (კოლმეურნეობას) შორის ხშირად ირღვეოდა სახელშეკრულებო ვალდებულების მოთხოვნები, განსაკუთრებით მეიჯარის მხრიდან. ამიტომ საბოლოოდ მოიჯარეთა დიდმა უმრავლესობამ არ შეასრულა პროდუქციის ჩაბარების ვალდებულება.

მეიჯარის მხრიდან არ სრულდებოდა ტექნიკით მომსახურება დადგენილ ვადებში, ამიტომ ჩვენი სოფლის სავარგულების უმეტესი ნაწილი ივნისის თვეში დაითესა და ცხადია, ვერ მოასწრო სიმწიფე. არ იყო დროული მომარაგება მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, შაბიამნით. ბევრმა მოიჯარემ ის სპეკულაციურ ფასებში შეიძინა.

მეიჯარე ამ დარღვევებს ყოველთვის ობიექტურ მიზეზებს მიაწერდა (გაუმართავია ტექნიკა, სასუქები და შხამ-ქიმიკატები არ არის ბაზაში, როცა შემოიტანეს, ძვირი დაგვიჯდათ) და რაიმე დოკუმენტებს არ ქმნიდნენ.

მაგრამ რა ბრალშია მოიჯარე? მოსავალმა ხომ იზარალა?

მართალია დებულებით განსაზღვრულია მხარეთა პასუხისმგებლობა ზარალის მატერიალური ანაზღაურებით, მაგრამ ამისათვის საჭიროა კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილება და ისიც 10 დღის ვადაში.

აბა, წარმოვიდგინოთ, როცა დარღვევებს სისტემატური ხასიათი აქვს ხან ერთ, ხან მეორე მოიჯარესთან (ვერ მიაწოდა ტექნიკა, სასუქები, შხამქიმიკატები დადგენილ ვადებში, მინდვრად ილუპება მოსავალი). ვინ აუვა ამდენი აქტების წერასა და საჩივრების გარჩევას. არა და ყოველივე ამან ხომ უნდა ჰპოვოს ასახვა ანგარიშსწორების დროს.

გასულ წლებში არც ერთ დარღვევაზე შესაბამისი დოკუმენტები არ დგებოდა და წლის ბოლოს მეიჯარე მაინც მოითხოვდა თავისას. მოიჯარემ ხომ იცის რამდენჯერ დაურღვიეს პირობა, ამიტომ არსადაც არ მიდის, მაგრამ არც ვალდებულად სთვლის თავს ცალმხრივად შეასრულოს ხელშეკრულების მოთხოვნა.

არის მრავალი სხვა ობიექტური გარემოებანიც, რის გამოც მოსალოდნელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევა. ჩვენი მთაგორიანი რელიეფის პირობებში ზოგი ნაკვეთი ისეთია, ძნელია მექანიზმის მუშაობა, აქვს უქმი სვლები, იხარჯება ზედმეტი საწვავი, აღებული მოსავლის გადმოზიდვა ფერხდება და მოსავალი ნადგურდება. ყველაფერი ეს აძვირებს პროდუქციას. ამასთან თუ ეს ნაკვეთი ისედაც მწირეა, შეიძლება მოსავალმა დანახარჯებიც ვერ აანაზღაუროს. ამიტომ ჩემის აზრით, ისეთ რთულ ბუნებრივ პირობებში, როგორიც ჩვენი რაიონია (და საერთოდ მთიან რეგიონში) არსებული დებულებიდან გამომდინარე უნდა მოფიქრებულ იქნას უფრო მოქნილი, ოპტიმალური მექანიზმი, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა დეტალი.

და მაინც მთავარი და მთავარი, ჩვენის აზრით, ის არის, რომ მოიჯარე თავის მხრივ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ყველა სეზონზე, რათა მაქსიმალურად იქნას გამორიცხული სახელშეკრულებო ურთიერთობათა დარღვევები.

ალ. ნემსწვერიძე,
სოფ. ბარდნალა.

ჩვენი მეზობლები



ბევრი რამ ვიცით ჩვენს უახლოეს მეზობელზე — თურქეთის რესპუბლიკაზე? ჩანს, რომ არა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან ცოტა რამ გვსმენია მის შესახებ, თუმცა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის პირველი მეგობრული ხელშეკრულების დადებიდან მალე 70 წელი შესრულდება.

თანამედროვე თურქეთი — ეს აქტიურად განვითარებადი ქვეყანა. სამრეწველო, აგრარული და სოციალური პროგრამების თანმიმდევრულმა გადაწყვეტამ ის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რიცხვში მოახვედრა. აქ მთლიანად გადაწყვეტილია სასურსათო პროგრამა, წარმატებით ხორციელდება მოსახლეობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი ბინებით, სწრაფად ვითარდება მრეწველობა.

ხელსაყრელი კლიმატი, მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა თურქეთს ტურისტების მოზიდვის საშუალებას აძლევს.

მთავრობის გადაწყვეტილებით ახლა აქტიურად ვითარდება ტურიზმის ინდუსტრია. ორიენტირად აღებულია ტურისტულ ზონებში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება. სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული რესტავრატორების დახმარებით სიცოცხლე უბრუნდება კაცობრიობის ცივილიზაციისა და კულტურის უნიკალურ ძეგლებს.

სურათებზე: ანკარის ცენტრში; პატარა თურქი.

ქრისტიანობა და საქართველო

მეფემ სპარსეთისამ თურმე შვიდი წლის მირიანს დაუტოვა ორმოცი ათასი რჩეული მხედარი სპარსთა, შვიდი ათასი საკუთრივ სატახტო ქალაქის დასაცავად, ხოლო მამამძუძედ და განმგებლად მიუჩინა ერთი წარჩინებული, სახელად მირვანოზ, მერე დაეზავა ქართველთ და კეთილშობილური პირობა, აღთქმა დაუდო: „იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლის მსახურებისა და თქუენთა კერპთასა". როგორც ცნობილია, მოყოლებული მეფე ფარნავაზიდან, რომელმაც „შექმნა მწიგნობრობაი ქართული", ქართველები კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ. მეფე ფარნავაზმა, ვითარცა მამამ ერისამ, თავად დაუდგა ოქროში ჩამოსხმული თავისი გამოსახულება სათაყვანებლად სამეფო მოდგმასაც და შთამომავლობასაც, დაუდგა ვითარცა მთავარი სალოცავი კერპთა შორის—კერპი არმაზის ამქვეყნიური განსახიერებისა.

„და აღიზარდა მირიან მსახურებასა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა, ხოლო შეიყვარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღსრულებდა მსახურებასა მას კერპთასა და შეამკო საფლავი ფარნავაზისა, ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ჰქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ჭირთა და ყოველთა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფისა და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გალმართ ქართლს, სომხითს, ჩანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს".

თხუთმეტი წლის მირიანს მოუკვდა დედოფალი აბეშურა, ასული ქართველთა მეფის ასფაგურისა. ამით დამთავრდა საქართველოს ტახტზე ფარნავაზიანთა მეფობა. მირიანმა საბერძნეთიდან სადედოფლოდ ჩამოიყვანა ასული ოლიოლოტოსისა, სახელად ნანა.

როდესაც სპარსეთის მეფე, მამა მირიანისა გარდაიცვალა, მირიანი უკვე იმდენად ძლიერი მეფე ყოფილა იბერიისა, რომ სპარსეთის ტახტის შემოერთებაც განუზრახავს: „მრავალგზის სიხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან, ამისათვის ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა"-ო, მიუმართავს თავისი ძმისათვის (მეორე შვილი მირიანის მამას ინდოეთის მეფის ასულისაგან ჰყოლია), რომელიც სპარსეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობაში შესცილებია.

ტახტზე მორიგებულნი, ძმები, მეფე იბერიისა—მირიანი და მეფე სპარსეთისა—ბარტამი, ბარტამის მოწოდებით საბერძნეთს შესევიან დასალაშქრად. „ვითარცა ვივანი ველთანი და ფურცელნი ხეთანი სიმრავლითა" იმხელა შეკრიბაო ლაშქარი სპარსთა და ქართველთა.

„ვერ წინაღუდგაო მათ—წერს მემატიანე,—ბერძენთა მეფე კონსტანტინე და შთავარდა მწუხარებასა დიდსა".

საკვირველია (მირიანის კეთილშობილი ბუნების გამო), რომ სიძე ბერძნებისა, დათანხმდა ძმას ბერძენთა დალაშქვრაზე და შემდგომ ინანა კიდეც. ალბათ, იმპერატორი კონსტანტინე უკვე ქრისტიანულ გზაზე დამდგარი და ჯვარით შემართული, განდევნის სპარსთა მეფესაც და ქართველთა მეფესაც, შეაბრუნებს მათ თავთავიანთ მიწა-წყალზე, თავთავიანთ საზღვრებში.

მირიან მეფეს კი ღრმად შეაკრთობს კონსტანტინე იმპერატორის ესოდენ მოულოდნელი გაძლიერება. იგი გაეთიშება სპარსეთის მეფეს და კონსტანტინეს ზავსა და მშვიდობას შესთავაზებს.

„და აღიყვანა იმპერატორმა კონსტანტინემ, შვილი მირიანისი მძევლად, რომელსა ერქუა ბაქარი, და დაამოყვრა თრდათ და მირიან და ამზახნა ურთიერთსა, რამეთუ მისცა თრდათ ასული თვისი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისსა ცოლად, რომელსა ერქუა რევ" („ქართლის ცხოვრება").

ეს ის სალომე უჯარმელი გახლავთ, რძალი მირიან მეფისა, რომელიც წმინდა ნინოს სულიერ შვილად და ნინოსგან მოთხრობილი მისივე ცხოვრების უშუალო ჩამწერად მოგვევლინება. კონსტანტინე იმპერატორი იმდენად ახლოა იბერიის ტახტთან, იმდენად ღრმად იხედება მის მომავალში, რომ იგი დამჭორწინებელია იბერთა უფლისწულის, მირიანის ვაუისა; სომეხთა მეფის ასულზე. სომხეთისა და იბერიის უფლისწულთა ქორწინება, მისთვის, დიდი იმპერიის მპყრობელისათვის, არის იგივ ძლიერი ქვეშევდრომისათვის და იგივ საკუთარი იმპერიის დიდი გალავნისათვის ზრუნვა.

აი, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება იბერთა ქვეყნისა და საერთოდ საქართველოსი, როდესაც ქართლში ქრისტეს საქადაგებლად უნდა მოვიდეს წმინდა ასული კაბადუკიისა—ნინო.

დენიზა სუმბაძე.

საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №18

ჩვენი ხვალინდელი დღე — ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშან საქართველოში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „სამედიცინო დახმარება. მრავალშვილიან ოჯახებს". მიღებულ იქნა წესდება და პროგრამა, შეიქმნა შესაბამისი ფონდი. როგორც საზოგადოების პროგრამაშია ნათქვამი, მის წევრებს სრულად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა პირველ რიგში მომავლისადმი, ბავშვებისადმი.

რა გააკეთა საზოგადოებამ შარშან? როგორი გეგმები აქვს მას მომავლისათვის? საქინფორმის კორესპონდენტმა ამ კითხვებით მიმართა საზოგადოების დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ოთარ აზიკურს.

აი რა თქვა მან: საზოგადოებამ განიხილა განცხადებები და საჩივრები საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესების შესახებ. რიგ შემთხვევებში ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდა. ჩვენი სამედიცინო ცენტრებიდან და კლინიკებიდან რაიონულ და სასოფლო საავადმყოფოებში გავგზავნეთ სპეციალისტები, რათა მათ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ადგილებზე. შეძენილია შესაბამისი ლაბორატორიული და სხვა მოწყობილობა მომავალი უფასო სამედიცინო ცენტრისათვის, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახებისათვის არის გათვალისწინებული.

მე მიმაჩნია, რომ დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენისათვის მეტად მცირე რამ კეთდება. სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ჩვილების, ჩვენთან კვლავ მეტად მაღალია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბავშვთა ნორმალური ცხოვრების პირობებისა და განვითარების უზრუნველყოფის პრობლემები უფრო რთული და ძნელად გადასაწყვეტი გახდა.

მწვავე პრობლემებს მე მივაკუთნებ საფინანსო სახსრების უკმარისობას სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, სამედიცინო პერსონალის ხელფასებისათვის, სოფლად კვალიფიციური კადრების მეტად შეზღუდულ რაოდენობას, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რაიონებში, სამედიცინო დაწესებულებების არაპროპორციულ-ტერიტორიულ განლაგებას, რომლებიც ძირითადად ქალაქებშია თავმოყრილი.

რაც შეეხება საქართველოს დღევანდელობას მე მას ვუწოდებდი ობიექტურ შეფასებათა და ჩვენი შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების საღი ანალიზის დროს, შემდეგ კი უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვის ოფიციალური სამსახურები საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის გარეშე ვერ შესძლებენ სრულად გადაწყვიტონ ადამიანთა ჯანმრთელობის პრობლემები. მე, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მყავს დედები და ბავშვები. სახელმწიფო ბევრი თავისი მოქალაქის ვალშია. დადგა ვალის გადახდის დრო. ჩვენი საზოგადოება და მისი ფონდი მოწოდებულია მობილიზაცია გაუკეთოს კეთილ ძალებს, მოიზიდოს ადამიანები, მათი მატერიალური სახსრები იმათ დასახმარებლად, რომელთაც ყოველდღიური ზრუნვა და მეურვეობა სჭირდებათ.

ჩვენ ორგანიზაციას გავუკეთებთ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ბავშვთა ფონდის, საქველმოქმედო საზოგადოება „სამშობლოს", ასოციაცია „ბავშვებს სუფთა პლანეტა", ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს და სხვა ორგანიზაციების ურთიერთმოქმედებას. ეს მხოლოდ ჩვენი შემდგომი მუშაობის ფრაგმენტია. ცხოვრება მას მუდმივად გაუწევს კორექტირებას.

გაზარი

თოვლის ფანტელები ციდან ფრთათეთრი პეპლებივით დაბლა ეშვებიან. თეთრი ბუნება საერთო კოლორიტს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. ირგვლივ ყველაფერი ცხადად ახდენილი სიზმარივით მშვენიერია, მაგრამ ადამიანების დაძაბულ, გაუღიმარ გამომეტყველებას დისონანსი შეაქვს ამ მშვენიერ იდილიაში.

კვირა დღეა. შევდივარ ცაგერის საკოლმეურნეო ბაზარში, ხალხმრავლობაა, ვიფიქრე, ალბათ პროდუქტების სიუხვეა და ამიტომ თუ ირევა ამდენი ხალხი-მეთქი. ბაზრის მეორე განყოფილება სავსეა საბაზრე ხელჩანთიანი ქალებით. დგანან და ელიან... ვის? სოფლიდან მოსულ ყველით დატვირთულ გამყიდველებს. იგვიანებენ, ჯერ არსად ჩანან. ისინი მაინც დგანან და მოთმინებით ელიან... არადა ოჯახის ქალს რამდენი საქმე ელის სახლში, ისინი მაინც დგანან, რა ქნან, აუცილებელი საჭიროება მოითხოვს იდგნენ და ვინ იცის, იქნებ ბედმა გაუღიმოთ კიდეც.

ამ ქალებისაგან ცოტა მოშორებით ორი ინტელიგენტი ქალი განცალკევებით იდგა და ყველაზე მეტად მათი მწუხარე სახე მაღონებდა. მივხვდი, მათი პრობლემა უფრო დიდი იყო.

—აქ რიგია, ეს ქალები ადრე მოსული არიან, სამი საათია თურმე აქ დგანან. ყველი იმდენი რას შემოვა ყველას რომ გახვდეს და მეც მერგოს, ტყვილა მიატოვა. ქმარი საშოვარზე ჰყავს გაგზავნილი და ფული ბლომად აქვს, სახლიც კარგი აიშენა.

—რა ღირს მწვანილი,—იკითხა ერთმა ახალგაზრდა ქალმა შემოსვლისთანავე ისე, რომ ყველის რიგში ჩამდგარი ქალებისაკენ არც გაუხედავს, ისე იყიდა რამდენიმე კონა და გაბრუნდა.

—ოცი მანეთად ვყიდი, ნაკლებ არ იქნება! სასოწარკვეთილად ამოიჩხავლა გულმოსულმა გამყიდველმა. სად იყო და სად არა უცბად გამოჩნდნენ მყიდველები, ზოგმა ყველის ჭურჭელს დაავლო ხელი და თვითონ იღებდა ყველს ასაწონად. გამიხარდა, რომ იმ ქალმა ყველი როგორც იქნა იყიდა და წავიდა, მაგრამ გამყიდველი კინაღამ გაგლიჯეს, როცა ყველი ყველას არ გასწვდა. ისიც კი უთხრეს—შე კაი ქალო, რატომ მეტი არ წამოიღეთ და ბუზღუნით წავიდ-წამოვიდნენ.

სახლში რომ წამოვედი, დავფიქრდი, ის ინტელიგენტი ქალები ცარიელი სუმკებით რომ გაბრუნდნენ ოჯახებში, ნეტავ, სად ხედავენ ხსნის გზას?

ნინო უვირიღიანი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი,

ნეტავ სადაა გზა ხსნისა?

ვკარგავ დროს, უთხრა ერთმა მეორეს და წასვლა დააპირა.

—პატარა ხანს მოიცადე,—სთხოვა მეორემ და საუბარი გააგრძელეს. ამასობაში საკმაოდ დიდხელჩანთიანი ქალი კიდევ მიემატა იმ ქალებს და რიგში დადგა.

—მახსოვს ის ქალი რომ გათხოვდა, სოფელში გაჩერება არ ქნა. აქ კომუნალურ ბინაში შესვლა მოახერხა—მეტი არა მაქვს საქმე თოხზე მუშაობით ვიკლავთავს და აქ დამკვიდრდა. დედამთილმა ვერ აიტანა, ინფარქტით გარდაიცვალა. იმ საწყალს თურამე გააჩნდა აქეთ გამოზიდა, სოფელში ეზო-კარი უპატრონოდ

—მაგას რა უჭირს მწვანილს თუ იყიდის, სხვა არაფერი სჭირდება. ჯერჯერობით სოფელში დედამთილიც და მამამთილიც ყოჩებივით არიან. ოჯახი სავსე აქვთ, პირუტყვი არ აკლიათ და ფრინველი.

რიგში ჩამდგარი ქალების საქმიანობით დავინტერესდი, აღმოჩნდა, ზოგი სად მუშაობდა და ზოგი სად. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი მხოლოდ ეს ორი ქალი იყო, რომლებიც დაუსრულებლად იდგნენ და მწუხარე რაინდებივით გამოიყურებოდნენ.

—სწავლისათვის დღე და ღამე გავასწორე, ვფიქრობდი, ხელფასი მექნება, და ცხოვრება არ გაგამიჭირდება მეთქი ამას რას ვიფიქრებდი, ამდენი პრობლემის წინაშე თუ დავდგებოდი.

—დროის ბრალია ჩემო კარგო ყველაფერი, დროის,—უთხრა მეორემ.

—ყველაფერს დროს ნუ დააბრალებთ, ხალხი გაზარმაცდა, ოღონ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

—„დაწყევლოს ღმერთმა ამნაირი გაძაღლებული ცხოვრება, გზაში გავიყინე მანქანის მოლოდინში, ფეხით ვიარე. მოვკვდი ამის ამოტანაზე".

ყველის მომლოდინე ინტელიგენტმა ქალმა სუმკას ხელი ნაზად დაავლო და ყველის პატრონს მიეშველა.

—ოღონ ეს ამ ინტელიგენტ ქალებს ეს ბედი ეწერა, ეს ბედი ეწერა, ეს ბედი ეწერა,

გილოცავთ

ნინო შალვას ასულ უგრეხელიძეს
ჯონი ჟორას ძე ქომეთიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ადამიანი. კვლავ მრავალ სიხარულს აემღლებინოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი.

გოგუცა, სოსო, სეით, მზია, მირზა, გია ქომეთიანები, მადონა, თამაზ ყურაშვილები.

ნანი მანაგაძეს
თამაზ ჩიქოვანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ზოია, ლერი სალინაძეები.

ლარისა ახვლედიანს
დათო სანთელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო ქალი.

ნანა მეშველიანი,
ცაგერის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

თინა, მიშა მუშკუდიანებს
თაილი, ვალერი მუშკუდიანებს
ნათელა, ზაურ სალინაძეებს

გილოცავთ შვილიშვილისა და შვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ვერა ირემაძე, დოდო, ნანა, დათო სალინაძეები, მანდილო, გენადი გოდოლაძეები.

მარინე, მურმან მურცხვალაძეებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი, კვლავ მრავალ სიხარულს აემაღლებინოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი.

ნანა, ოლეგი ცხვედიანები.

თინა, ომარ ახვლედიანებს

გილოცავთ შვილების მაიასა და სოზარის ბედნიერებას. სიყვარული, სიკეთე ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი, ემრავლოთ.

სონი მეშველიანი, მანანა მუშკუდიანი, მაყვალა ელიავა, ჩიტო, ჟორჟოლიანი.

მზისა ხეცურიანს, ზალიკო კიკალიშვილს
ციცო, გურამ ხეცურიანებს, თინა, ოთარ კიკალიშვილებს

გილოცავთ ვაჟიშვილის—შვილისა და შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის საამაყო შვილი, ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ნატო, ლილი, ჭემალ დავითულიანები

მარო გვიშიანს
ვალიკო თუთისანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, აღზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები.

ჟუჟუნა გერასიმეს ასულ შკუბულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს თქვენი საყვარელი შვილითა და ყველა კარგის მსურველით.

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.
ნატო ბენიძე, ნაზიკო კოპალიანი და ნანი ფრუიძე.

ნორა, გივი გოლეთიანებს

გილოცავთ შვილთაშვილის შეძენას, ყოფილიყოს ჯანმრთელი, კეთილი, სულით ძლიერი. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ნინა ბერიძე, მაია შეკიშვილი, მავრა, გურამ სივსივეები, ნიკოლოზ გოლეთიანი, ბელიკო ნემსწვერიძე.

ლია აქვსენტის ასულ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ლამარა, ლალი, მარინე, ჭემალ, დემურ, დათო კოპალიანები.

ნადია, დოდო, ამბერკი, ზაზა ცვარიანებს

გილოცავთ ნანას ბედნიერებას, შეექმნას ფუძემლიერი ოჯახი, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.

შოთა, კარლო ცვარიანები, უჩა გოლეთიანი, ვალერი, გრიგოლ ბენდელიანები.

ჟორესი ბიქენტის ძე სვანიძე



კიდევ ერთი კარგი ვაჟკაცი, მოქალაქე დაგვაკლდა, კიდევ ერთი ჭრილობა დააჩნდა სულს ჩვენსას—გარდაიცვალა პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანი, ლეჩხუმში თითქმის ყველასათვის მახლობელი კაცი ჟორესი ბიქენტის ძე სვანიძე.

დაიბადა 1924 წელს მთიან სოფელ ცხუკუშერში. მთასავით ამაყი და წმინდა სული ჰქონდა. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა 1942 წელს, სამამულო ომში გაიწვიეს. 1944 წელს მძიმე ჭრილობით დაბრუნდა შინ და მუშაობა დაიწყო ცხუკუშერის კოლმეურნეობაში ბუღალტრად.

1952 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში ინსტრუქტორად, შემდეგ გზავნიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორ წლიან რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1957 წელს.

1957—1966 წლებში მუშაობდა უცხერის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად.

შემდეგ ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტს.

1966 წლიდან საცხოვრებლად გადადის ქუთაისში, სადაც მუშაობდა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში [illegible] ნუფილებას უფროსად.

1970-1978 წლებში არის აბაშის რაიონის ზანათის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. 1978 წლიდან ისევ ქუთაისშია სხვადასხვა თანამდებობაზე—ავტოქარხნის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსი, ავტოქარხნის რაისაბჭოს აღმასკომის კოოპერაციული ბინათმშენებლობის საცხოვრებელი ფართის აღრიცხვისა და განაწილების გამგე, 1984 წლიდან სიკვდილის დღემდე იყო ქუთაისის მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატის დირექტორი. იყო საქმის მცოდნე, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, პრინციპული მუშაკი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ნამდვილი ლეჩხუმელი, კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, რომელსაც ბევრი რამ სასიკეთო საქმის კეთება ჰქონდა კვლავ განზრახული. მსუბუქი იყოს მიწა, რომელმაც ეს ესაა მიიბარა.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

შვილები ეთერი, მერი, ვენერა, ლილი, შვილიშვილი ნიკო სარალიძე, და სონა, ძმა კაკო, ძმისშვილები, დისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა ლევარსამის ასული ახვლედიანი-ჩარკვიანი.

დაკრძალვა 16 თებერვალს, შაბათს, სოფ. მახაშში.

შვილები ალამი, მანანა, სიძე ვალიანდოულაძე, შვილიშვილი თეიმური, დები ვერო, ნინა, ვარდო დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიგლა ივანეს ძე სვანიძე.

დაკრძალვა 16 თებერვალს, შაბათს სოფელ ლაილაშში.

ღვირიშის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ბიძინა ახვლედიანი თანაუგრძნობენ ცისკარა ვარდანიძეს დედის

ნაზიკო ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

გულვერ, რომან, ჭიმშერ გიორგობიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზიკო ხეცურიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ორბელის კოლმეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანი და გურამ გზობავებს ძმისა და ცოლიძმის

ჯუმბერ ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

[illegible]ეზო ჩხეტიანი, გურამ ტვილდიანი, ანზორ ახვლედიანი, შალვა ხეცურიანი, გრიშა სანდროს ძე, [illegible] ნემსწვერიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მერი ხეცურიანს დის

ნაზიკო ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

შვილები გრიშა, არშაკო, ჯიუ, არსენა, ლენა, თინა, რძლები ლენა, კამარი, თინა, ლია, სიძეები შაქრო დავითულიანი, შოთა ჭოხონელიძე, შვილიშვილები ამირანი, გიგლა, კარლო, ჯოტო, რიმა, კახა, მაკა, ეკა, ნიურა, ლია, ფატიმა, რაინდი, ოლეგი, ზაირა, ძმისშვილი კოლია გურგუჩიანი, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფატი (ნადია) ივანეს ასული გურგუჩიანი-ლეშკაშელი

დაკრძალვა 17 თებერვალს, კვირას, სოფ. ლაჯანაში.

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა ჩარკვიანს დედის

პაშა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

თათუშა ყვირილიანი, სოსო გასვიანი, ამირან შარადენიძე, პაატა დოლაბერიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა ჩარკვიანი

ბიძაშვილი ავთანდილ ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნაზიკო ხეცურიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს თემურ ბურჯალიანს სიძის

კაკო გაგუას

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ლაჯანის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია, არსენ ლეშკაშელებს დედამთილისა და დედის

ნადიას

გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის ღვირიშის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მერი ხეცურიანს დის

ნაზიკო ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

შვილები გურამი, თამაზი, ნაზიკო, ლამარა, მიმოზა, რძლები გულნაზ გოდოლაძე, როზა კვანჭიანი, ბელა ხინგავა, შვილიშვილები ბეჟანი, ნუგზარი, მურთაზი, კოტე, ნატო, ვერიკო, ეკა, შვილთაშვილი გურამი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლავრენტი არტემის ძე ხუციძე

დაკრძალვა 16 თებერვალს, შაბათს, სოფ. საირმეში.

დები ნუნუ, მერი, სიძე ვახტანგ ვარდანიძე, დისშვილები ცისკარა, შალვა, ბიძა სევარიონი, ბიძაშვილი ავთანდილი, მამიდები ჩიტო, გულა, ბიცოლები ანეტა, ვერა, ლუბა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზიკო გრამიტონის ასული ხეცურიანი.

დაკრძალვა 17 თებერვალს, კვირას, სოფ. ქვედა ღვირიშში.

სევერიან, კარლო მუშკუდიანები ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

პაშა ჩარკვიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დავით გვიშიანი, ნუგზარ ნემსწვერიძე, ზურაბ ასათიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადია ლეშკაშელი

დემური, ჭემალ კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაშა ახვლედიანი-ჩარკვიანი.

საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მიმოზა ხუციძეს მამის

ლავრენტი ხუციძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის— —22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-81 სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის 22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. შეკვეთა №14 ტირაჟი 4633

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.